

შპს „ჰეფესტო“

ს/კ 454406269

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. თბილისი

2025წ

შპს ჰეფესტო 454406269

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024

შინაარსი:

1. სრული შემოსავლის ანგარიშგება
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

შპს ჰეფესტო 454406269

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია დაფუძნდა 2010 წლის 8 ოქტომბერს საფირმო სახელწოდებით
შპს "ჰეფესტო", იგი დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და
მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი - 454406269. ამჟამად კომპანიის
იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, დიდგორის რ-ნი, სოფ. შინდისი.

შპს-ს დამფუძნებელს წარმოადგენს ფიზიკური პირი:

დევი ჯავახიშვილი - 12001012189 - წილი 100%.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სასაქონლე ბეტონის წარმოება, ასევე ბლოკის
წარმოება.

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია
ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული
მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა პირვანდელი
ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით,
რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტს
სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი, რადგან, როგორც საქართველოს
ეროვნული ვალუტა, ის მეტწილად ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების
ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას, წინამდებარე
ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური
ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე .

შპს ჰეფესტო 454406269

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024

4. ფული და ფულის ექვივალენტი

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშზე. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები რეალიზაცია, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შპს "ჰეფესტო"-ში გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

ფულადი სახსრები	31.12.2024წ	31.12.2023წ
ნაღდი ფული	4875	3241
ფული საბანკო ანგარიშზე (ლარი)	42192	26139
ფული სავალუტო ანგარიშზე (ლარის ექვ.)	13492	94
ჯამი	60459	29474

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ძირითადი საშუალებები აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. კომპანია ძირითად საშუალების თავდაპირველი აღიარებისას აფასებს თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებებისათვის კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის მანძილზე. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს მთელ რიგ ფაქტორებს, კერძოდ : • აქტივის დატვირთვა, მწარმოებლურობა • ფიზიკური ცვეთა, ტექნიკურ და კომერციულ მოძველება, აქტივის გამოყენების შეზღუდვა. საწარმო პერიოდულად ახდენს ზემოთ მოცემული ფაქტორების გათვალისწინებით მომსახურების ვადის ცვლილებას, ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

შპს ჰეფესტოს ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მიწა ---	34406
შენობა-ნაგებობები ---	3845
სატრანსპ. საშუალებები --	577073
სხვა ძირ. საშ-ბა --	72204
სულ მ/საშ:	687528 ლარი

გ. ჯაფარიძე

შპს ჰეფესტო 454406269

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024

6. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

7. საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწარმოს მესაკუთრის მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, ამ ინვესტიციების მატებას, რომელიც მიღებულ იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და საწარმოში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით და მესაკუთრეთა ინვესტიციის შემცირებას, რაც განაპირობა არამომგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

	31.12.2024წ	31.12.2023წ
კაპიტალი შპს-ში	299338	299338
გაუნაწილებელი მოგება	503485	425541
სულ საკუთარი კაპიტალი	802823	724879



8. ამონაგების აღიარება

საქონლის რეალიზაციიდან ამონაგები აღიარდება მაშინ, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება. მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

9. ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს საოპერაციო ხარჯების გაწევას, რომელიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

10. ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.

შპს ჰეფესტო-ს

ხელმძღვანელი:

ბუღალტერი:


თ. გიგინეიძე

დევი ჯავახიშვილი

თინა მეზურნიშვილი

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები

მარაგები

მზა პროდუქცია

სხვა

საინვესტიციო ქონება

სხვა მოკლევადიანი აქტივები

ბიოლოგიური აქტივები

თვითღირებულების მოდელით

გადაფასების მოდელით

გუდვილი

სხვა არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში

სხვა გრძელვადიანი აქტივები

სულ აქტივები

ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები

ანარიცხები

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

საგადასახადო ვალდებულებები

გამომუშავებული შემოსავალი

მოკლევადიანი ნასესხები სახსრები

გრძელვადიანი ნასესხები სახსრები

მიღებული გრანტები

სხვა ვალდებულებები

სულ ვალდებულებები

	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	60459	29474	1301
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	389005	423657	485530
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0	0
მარაგები	116944	77009	166280
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	116944	77009	166280
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	403273	390985	108505
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	687528	650571	484032
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	1657209	1571696	1245648
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	304905	319919	234423
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამომუშავებული შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	549481	526898	448843
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	854386	846817	683266

ფ. ჩიქოშვილი

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საემისიო შემოსავალი	299338	299338	311338
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	0	0	0
გადაფასების რეზერვი	503485	425541	251044
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	802823	724879	562382
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1657209	1571696	1245648
სულ მოკლევადიანი აქტივები	969681	921125	1522364
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები	0	0	0

მ. ჩიქვაძე

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	4014891	3628930
საქონლის გაყიდვიდან	4014891	3628930
მომსახურების გაწვიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
'სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-3037634	-2747543
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	977257	881387
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-311991	-193343
ცვუთა / ამორტიზაციის ხარჯი	-138039	-114129
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-47566	-35967
იჯარის ხარჯი	-65593	-65593
აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-336124	-301248
სულ საოპერაციო ხარჯები	-899313	-710280
საოპერაციო მოგება	77944	171107
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	3390
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	77944	174497
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	77944	174497

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

გ. ხაჩიძე

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მუკავშირე საწარმოების უძრავი გადაფასების რეზერვი და და:	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მოლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	77944	174497
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	724879	562382
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპი-	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	-12000
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	802823	724879
კვლევისა და განვითარების ხარჯები	0	0

[Handwritten signature]

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადი	30985	28173
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადი	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადი	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	30985	28173
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	29474	1301
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	60459	29474